ზურაბ კიკნაძე

## "daTvlilia, awonilia, gayofilia..."

XIX საუკუნის მთელს რუსეთის იმპერიაში ერთადერთი ვლადიმირ სოლოვიოვი იყო, რომელიც ვერ ხედავდა რაიმე აზრს რუსეთის ეროვნულ ცხოვრებაში ხალხმრავალი იმპერიის არსებობისა. თუმცა ამ იმპერიას ის "ხალხთა ოჯახის შემცველს" უწოდებდა, კარგად იცოდა ამ "ოჯახის" ფასი. ამ "ურღვევი კავშირის" ფასი ჩვენ დღეს, ასი წლის შემდეგ, უკეთ გვესმის.

რუს ფილოსოფოსს გაუცრუვდა ჭაბუკური იმედები რუსეთის მესიანიზმში, რომ მსოფლიოს ის მისცემდა ღმერთკაცობრივ კულტურას, ანუ შეაერთებდა თავისი მაგალითით, თავის ისტორიულ ცხოვრებაში, ღვთიურ საწყისს ადამიანურთან. სიცოცხლის ბოლო წლებში მომავლის ბურუსში იგი სასიკეთოს ვერაფერს ჭვრეტდა თავისი წინასწარმეტყველური ხედვით, მაგრამ იმ საშინელ დღეს, რომელიც გაუთენდა რუსეთს ორი ათეული წლის შემდეგ, ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა. ის მოელოდა "წუთისოფლის დასასრულის" შუაგზაზე მონღოლურ უღელს რუსეთის ქედზე – წინასწარმეტყველება კი ახდა, მაგრამ სრულიად მოულოდნელი ვითარებით: რუსეთის ხალხმა შიგნიდან წარმოშვა ახალი მონგოლიზმი, წარმოუდგენლად სასტიკი სულისა, ყოველგვარი რწმენის და სათნოების ამომძირკველი "წმინდა რუსეთში", რომელიც მესამე ტომის პრეტენზიებს აცხადებდა.

"უახლოესი მომავალი ისეთ განსაცდელს გვიმზადებს, როგორიც არასოდეს უნახავს ისტორიასო". ასეც მოხდა. ის იმპერია, რომელმაც ვერ შეასრულა მესამე რომობა, დაემხო, რათა აღმართულიყო ახალი იმპერია, ანუ აღმდგარიყო ძველის ნანგრევებზე და კვლავ საპყრობილეში ჩაეყარა თავის ხალხთან ერთად სხვა ხალხები. წარმოიშვა ახალი მესიანიზმი, მაგრამ ახლა მისი დღეები დათვლილია – ამის თქმა უკვე აღარ არის წინასწარმეტყველება.

იმ პირველმა დაცემამ და დაშლამ იმპერიისა წარმოშვა 26 მაისის დღე 1918 წელს, როცა რუსეთი სამოქალაქო ომში იყო გახვეული. ეს იყო მისი ისტორიის ნაწილი, ერთი მონაკვეთი მისი, შეიძლება ითქვას, ეთნოგენეზის გზაზე, განსაცდელი, რომელიც მას, ალბათ, გარდუვალად უნდა გადაეტანა. მაგრამ არამც და არამც ეს არ ეხებოდა იმპერიის "ოჯახში" შემავალ სხვა ხალხებს, კერძოდ, ქართველ ხალხს, რომელიც ასი წლის მანძილზე შეგნებულად და სიამაყის გრძნობით ღვრიდა თავის სისხლს მის საგარეო ომებში, იღებდა სისხლხორცეულ მონაწილეობას მის გამარჯვებებში, აძლიერებდა რა ამ თავისი მონაწილეობით რუსეთის მესიანურ სულისკვეთებას, ზრდიდა რა მას "დიდ რუს ხალხად" და "უფროს ძმად".

შესაძლოა, იმ საუკუნეში იყო ილუზია, რომ რუსეთში მყოფი ხალხთა ოჯახი რაღაც საერთო მესიანურ საქმეს ემსახურებოდა – საიმპერიო ომებშიც და მერეც, რევოლუციის ხანაში, – მაგრამ ეს ილუზიები მალე უნდა გაცამტვერებულიყო. აღმოჩნდა, რომ ყველაფერი რუსი ხალხის განდიდებას და სხვათა დამცრობა-გადაშენების საქმეს ემსახურებოდა. ეს საბოლოოდ გამოიკვეთა ჩვენს ეპოქაში. სტალინმა არამცირედი წვლილი შეიტანა ამ საქმეში თავისი ისტორიული სადღეგრძელოთი, სადაც მან აღადგინა ლენინისგან გაკიცხულ-დაწუნებული ცნება "ველიკორუს", მორფოლოგიური განშლით მიანიჭა რა მას იდეოლოგიური ჟღერადობა: ველიკიჲ რუსსკიჲ ნაროდ. ნამდვილად არ არის პარადოქსი, რომ ამ "განდიდებამ" დააზიანა, პირველ ყოვლისა, რუსი ხალხის ცნობიერება. მართალია, ამგვარმა პროპაგანდამ და მისმა შესატყვისმა ქმედებებმა იმპერიის ერები დაჩაგრა სულიერად, მაგრამ წმინდად შეინახა მათში ეროვნულობის გრძნობა, ააშორა რა ისინი ყალბი დიდებით მოსილებას, რაც გაცილებით ძნელი განსაკურნავია, ვიდრე ე. წ. არასრულფასოვნების, "უმცროსობის" კომპლექსი. ახლა კი, როცა ეროვნული აღორძინების ტალღამ გადაუარა იმპერიას, "დიდი რუსი ხალხი"

თავდაცვის მდგომარეობაში აღმოჩნდა: ქარწყლდება მისი "აფრიკული სპილოს" კომპლექსი. ის უკვე თავს იცავს ხალხთა ეროვნული მოძრაობისგან, თავს ისაწყლებს მის წინაშე. ეროვნული მოძრაობანი აღქმულია რუსის გონების მიერ, როგორც ხელყოფა "დერჟავისა", როგორც შეტევა ყოველივე რუსულის წინააღმდეგ, როგორც გენოციდიც კი რუსი ხალხის მიმართ (იხ. "ნაშ სოვრემენნიკის" 1990 წლის №4, რუსეთის მწერალთა, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა წერილი სსრკ პრეზიდენტს და სხვა). ახლადგამომცხვარი რუსი პატრიოტი მოთქვამს როგორც მსხვერპლი ეროვნული დევნისა და შევიწროებისა, თითქოს მის ხელისუფლებას წარსულში, მეფის რუსეთში, და უკანასკნელ ხანსაც, რეალურად არ მიემართოს გენოციდისათვის ეროვნული ენების მიმართ, თითქოს არ არსებულიყოს თანამიმდევრული გარუსების პოლიტიკა, რაც ჩვენს დროში კიდევ საშიში შეიქნა.

ასი წლის წინათ ვლ. სოლოვიოვი წერდა, რომ რუსეთის მესვეურებმა უნდა ილაპარაკონ არა ძლიერებაზე რუსეთისა და მის პოლიტიკურ ინტერესებზე, არამედ ცოდვებზე და მოვალეობებზეო, რომ რუსეთი უნდა განიწმინდოს მისი ისტორიული ცოდვებისგან და დააწეროს თავის დროშას, რომლის აღმართვისა არ შერცხვება ღვთისა და კაცობრიობის წინაშე, რომ წრფელის სინდისით წააწეროს დროშას ეს სიტყვები: "ეროვნული, სამოქალაქო და რელიგიური დამოუკიდბლობა და ქრისტიანული აღმოსავლეთის ყველა ხალხის თავისუფალი განვითარება". მისი სიტყვები, რომ ვერავითარი საქმენი საგმირონი, ხალხების სასარგებლოდ ჩადენილნი, ვერ გადაფარავს ჩვენს საკუთარ ცოდვებს, მხილებად გახმიანდა სწორედ დღეს, როდესაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გადაიგდეს "განმათავისუფლებლის" უღელი; ეს სიტყვები ჟღერს იმათ სამხილებლადაც, ვინც დღეს "დიდ რუს ხალხს" სხვა მცირერიცხოვან ხალხთა გამაბედნიერებლად მიიჩნევს იმპერიაში მათი გაერთიანებით; ვინც დღესაც ამტკიცებს, რომ რუსეთის მიერ ნაკისრები მძიმე ტვირთი მრავალეროვანი "დერჟავის" შექმნისა ხალხებისათვის სასიკეთო მისია იყო. მძიმეა მონომახის ქუდი? მძიმეა მართლაც, რადგან ის უზურპატორს ახურავს თავზე. წელში გაწყდა ამ სიმძიმისგან რუსეთი, მისი არსებობაც კი საეჭვო შეიქნა.

ვლ. სოლოვიოვი ალბათ ერთადერთი იყო რუს მოაზროვნეთა, მით უფრო პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის, რომელიც სრული გაბედულებით, თვითმხილებით წერდა, რომ რუსი ხალხი ვერ იცხოვრებს მშვიდად, რომ ის ვერასოდეს მიაღწევს წარმატებას, ვიდრე არ დაიცავს ზნეობრივ მოთხოვნებს; ვიდრე რუსეთში ყალბი პოლიტიკური მოსაზრებებით განაპირა მხარეების იძულებითი გარუსება გაგრძელდება, ვიდრე რუსეთის იმპერიის მილიონობით ქვეშევრდომნი იძულებით იქნებიან მოწყვეტილნი დანარჩენ კაცობრიობას, მანამდე რუსეთი ყველა თავის საქმეში ზნეობრივად შებორკილი დარჩება, სულიერად პარალიზებული იქნება და ვერაფერს, გარდა მარცხისა, ვერ იხილავს – რომელ ვითარებას უფრო ეხმაურება ეს სიტყვები – XIX საუკუნისას თუ ამჟამინდელისას?

ახლა იკვეთება ჭეშმარიტად საღი იდეა რუსეთის რუსეთში დაბრუნებისა; ლაპარაკობენ რუსეთის გასვლაზე სსრკ-ს შემადგენლობიდან, რათა ის დაუბრუნდეს თავის თავს, ჰპოვოს საკუთარი თავი, გამოარკვიოს თავი – ვის საქმეს აკეთებს, ქრისტესას თუ ანტიქრისტესას; ამოვიდეს იმ ორმოდან, რომელშიც მან თავისი ნებით ჩაიგდო თავი და თან ჩაიყოლა ხალხები; თავი დააღწიოს იმპერიალიზმს, რომელსაც დაუმონა საკუთარი თავიც, რომ გაუბედურებულიყო ეკონომიურად, ზნეობრივად, სულიერად.

სსრკ-ს გაუქმება შეუძლია მხოლოდ რუსეთს, თუკი ის შექმნის თავის საკუთარ სახელმწიფოს. მხოლოდ მაშინ, როცა გაუქმდება სსრკ, ყველა ხალხს დაუდგება თავისი 26 მაისი. განა წარმოსადგენია თავისუფალი დამოუკიდებელი (ყოფილი საბჭოთა სოციალისტური) რესპუბლიკა, თუ მის გვერდით, როგორც გველეშაპი, კვლავ იარსებებს საბჭოთა კავშირი?

მეორე იმპერია იშლება ჩვენს დღეებში, მისთვის განკუთვნილი დროჟამი იწურება ჩვენი ზედმეტი ძალისხმევის გარეშეც, როგორც მაშინ, იმ პირველი დაშლის ხანაში, როცა

ბუნებრივად, ყვავილივით გაიშალა 26 მაისი. ამიტომაც აღარ ღირს გულისხეთქება იმაზე, თუ რა უსამართლო სამართალი წყდება საკავშირო ყრილობებზე თუ სესიებზე – სსრკ-დან "ვერგასვლის კანონის" მსგავსნი და სხვა. მალე დადგება დრო – ეს კანონები ჰაერსი გამოკიდებული დარჩება.

ჯერჯერობით კი ის ელექტროეკრანი, სადაც დეპუტატთა ხმები აღირიცხება სსრკ უზენაესი საბჭოს ყრილობებზე, გვაგონებს იმ საბედისწერო კედელს, რომელზეც უზენაესის ხელმა ბაბილონის უკანასკნელი მეფის თვალწინ სამი სიტყვა გამოსახა: მანე, თეკელ, უფარსონ, რაც ნიშნავდა: "დათვლილია, აწონილია, გაყოფილია" (დანიელ წინასწარმეტყველი, 5). იმას, რაც განწირულია, ვერავითარი ძალმოსილება პრეზიდენტისა ვერ იხსნის, ათასი ბეჭდითაც რომ იყოს დამტკიცებული.